



მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №196
2016 წლის 20 სექტემბერი
მცხეთა

„მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის
გეგმის დამტკიცების შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 თებერვლის
№18 განკარგულებაში ცვლილების და დამატების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.დ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ი“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, „მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების 2015 წლის საპრივატიზებო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 21 აპრილის №49 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 31 აგვისტოს №184 განკარგულებისა და მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2016 წლის 8 სექტემბრის №07/2/67 მომართვის საფუძველზე,

1. შეტანილ იქნას ცვლილება „მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 თებერვლის №18 განკარგულებაში, კერძოდ, განკარგულების პირველ პუნქტს დაემატოს „1.23“; „1.24“; „1.25“ ქვეპუნქტები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1.1 „1.23“ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვანში მდებარე 380 მ² არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ №72.08.26.362. საწყისი საპრივატიზებო საფასური განისაზღვროს 3805 (სამი ათას რვაას ხუთი) ლარით.

1.2 „1.24“ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვანში მდებარე 419 მ² არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ №72.08.28.587 საწყისი საპრივატიზებო საფასური განისაზღვროს 4195 (ოთხი ათას ას ოთხმოცდათხუთმეტი) ლარით.

1.3. „1.25“ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქსანში მდებარე 200 მ² არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ №72.10.05.159. საწყისი საპრივატიზებო საფასური განისაზღვროს 4005 (ოთხი ათას ხუთი) ლარით.

2. განკარგულების შესახებ ეცნობოს მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას.
3. განკარგულება ძალაშია გაცნობისთანავე.

